საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

სახელმძღვანელო მითითებები
კონკურენციის სამართლებრივ მოკვლევებში
დროებითი (შუალედური) ღონისძიებების შესახებ

თბილისი

2025

სარჩევი

შესავალი 2

1. დროებითი ღონისძიებების გამოყენების სამართლებრივი სტანდარტები 5

1.1. დარღვევის ალბათობა 6

1.2. მძიმე და გამოუსწორებელი ზიანის თავიდან აცილების შეუძლებლობა 7

2. დროებითი ღონისძიებების მახასიათებელი ზოგადი პრინციპები 9

2.1. დროებითობა, შექცევადობა და მოქნილობა 9

2.2. დაუყოვნებელი ეფექტი და აღსრულებადობა 12

2.3. პროპორციულობა 14

3. დროებითი ღონისძიებების პროცედურული წესები 15

3.1. ინიცირება ex officio ან შუამდგომლობის საფუძველზე 15

3.2. მოკვლევის ეტაპი 18

3.3. პროცედურული გარანტიები 20

4. დროებითი ღონისძიებები ციფრულ ბაზრებზე 23

შესავალი

დროებითი/შუალედური ღონისძიებები (ინგ. „**interim measures**“) (შემდგომში აგრეთვე, „დროებითი/შუალედური ზომები“) გამოიყენება კონკურენციის აღმასრულებელი უწყებების ან სასამართლოების მიერ დამცავი და გამოსასწორებელი მიზნით, ანუ იმისთვის, რომ კონკურენციის-სამართლებრივ დავაში ჩაბმულ მხარეს დროებითი დახმარება გაეწიოს დავის საბოლოო გადაწყვეტამდე. ზოგადად, დროებითი ღონისძიებები მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში მიიღება. ისინი, როგორც წესი, მოითხოვენ ორი ძირითადი პირობის დაკმაყოფილებას: საქმის არსზე წარმატების ალბათობა (*fumus boni iuris*) და ზიანის თავიდან ასაცილებლად გადაუდებელი აუცილებლობა (*periculum in mora*).

ევროკავშირის კონკურენციის სამართალში, შუალედური ღონისძიებები/ზომები ***ეწოდება ევროკომისიის კონკურენციის გენერალური დირექტორატის უფლებამოსილებებს, რომლებსაც ეს უკანასკნელი (გარკვეული პირობების არსებობისას) იყენებს მოკვლევის დასრულებამდე კონკურენციის სავარაუდოდ შემზღუდავ ქმედებათა აღსაკვეთად. ევროკომისიის უფლებამოსილება შუალედური ზომების შეფარდების შესახებ თავდაპირველად სასამართლომ აღიარა საკუთარი პრაქტიკით[1],*** (რომელიც ითხოვდა, პირველ რიგში, რომ ქმედება უნდა იწვევდეს ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობის prima facie დარღვევას; და მეორეც, რომ შუალედური ღონისძიებები აუცილებელია იმისათვის, რათა თავიდან იქნას აცილებული სიტუაცია, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული/მძიმე და შეუქცევადი ზიანი („გადაუდებელი აუცილებლობა“)), ხოლო შემდგომ ნორმატიულ დონეზე იქნა გამტკიცებული, ევროკავშირის საბჭოს 2002 წლის 16 დეკემბრის N1/2003 რეგულაციით.[2]

2013 წელს ევროპული კონკურენციის ქსელის (European Competition Network/ECN) წევრმა კონკურენციის ორგანოებმა მიიღეს რეკომენდაცია[3] დროებითი ღონისძიებების შესახებ, რომლის მიზანია *„ევროკავშირის კონკურენციის წესების ეფექტური აღსრულების უზრუნველყოფა“*. რეკომენდაცია აღიარებს, რომ

---

[1] იხ. სასამართლოს თავმჯდომარის 1980 წლის 17 იანვრის განჩინება, Camera Care v Commission, საქმე 792/79 R, ECLI:EU:C:1980:18, პუნქტები 14 და 19; სასამართლოს თავმჯდომარის 1982 წლის 29 სექტემბრის განჩინება, Ford v Commission, საქმეები 228/82 R და 229/82 R, ECLI:EU:C:1982:320, პუნქტები 4 და 13; პირველი ინსტანციის სასამართლოს პირველი პალატის 1992 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება, La Cinq v Commission, საქმე T-44/90, ECLI:EU:T:1992:5, პუნქტი 28.

[2] საბჭოს 2002 წლის 16 დეკემბრის რეგულაცია (EC) No1/2003 ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 81-ე და 82-ე მუხლებით დადგენილი კონკურენციის წესების აღსრულების შესახებ, https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A32003R0001 [12.05.2025]

[3] იხ. ECN Recommendation *on the power to adopt interim measures*, ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/competition/ecn/recommendation_interim_measures_09122013_en.pdf [29.05.2025]

დროებითი ღონისძიებები წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომლის მიზანია:

1. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე გამოუსწორებელი ზიანის თავიდან აცილება;
2. უზრუნველყოს, რომ საბოლოო გადაწყვეტილებების ეფექტიანობა არ დაიკარგოს.

რეკომენდაცია მოიცავს რამდენიმე ძირითად პრინციპს, მათ შორის:

1. დროებითი ღონისძიებების მიღების აშკარა სამართლებრივი საფუძველი;
2. საერთო (მინიმალური) მოთხოვნები;
3. პროპორციული და დროებით მოქმედი ზომები განსაზღვრული ეფექტური ვადით;
4. მოქნილი და ეფექტური პროცედურები;
5. აღსრულების ეფექტიანობის უზრუნველყოფა.

კონკურენციის სამართლებრივ მოკვლევებში დროებითი ღონისძიებები პრაქტიკული თვალსაზრისით შეიძლება შეფასდეს, როგორც ალტერნატიული ინსტრუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ[4] ეფექტურ კონტროლს და ხელს უწყობენ კომპლექსური საქმეების[5] სწრაფ გადაწყვეტას კონკურენტუნარიანობის დროული აღდგენის გზით შესაბამის ბაზრებზე. დროებითი ღონისძიებები, ისევე, როგორც პირობითი ვალდებულებები[6], ასრულებენ დამატებით ფუნქციას — „ბაზრის შემოწმებას“ და საბოლოო გადაწყვეტილებისთვის შესაძლო გამოსაყენებელი ზომების დახვეწას.[7] [8]

მიუხედავად იმისა, რომ დროებითი ღონისძიებები ათწლეულების განმავლობაში ბევრი კონკურენციის ორგანოს უფლებამოსილებებში შედიოდა, ზოგიერთი უწყებისათვის ეს უფლებამოსილება შედარებით ახალია.

---

[4] Ioannis Lianos, Alexey Ivanov (2019), *Digital Era Competition BRICS Report*, BRICS Competition Law and Policy Centre, http://dx.doi.org/10.2139/ssrn.3901413 [30.05.2025]

[5] Despoina Mantzari, "Interim Measures in EU Competition Cases: Origins, Evolution, and Implications." *Journal of European Competition Law & Practice* 11, no. 9 (2020), გვ. 494

[6] იხ. კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის №40 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის“ 26-ე მუხლი, ხელმისაწვდომია: https://gcca.gov.ge/uploads_script/legislation/tmp/phpsPFqwQ.pdf {27.05.2025]

[7] Alejandro Ruiz Feases, 'Sharpening the European Commission's Tools: Interim Measures' (2020) 16(2–3) European Competition Journal, Vol. 16/2-3, გვ. 428; Frank Maier-Rigaud and Philip Lowe, 'Quo Vadis Antitrust Remedies' in Claus-Dieter Ehlermann and Mel Marquis (eds), European Competition Law Annual 2006: Enforcement of Prohibition of Cartels (Hart Publishing 2008), გვ. 597-611

[8] OECD. (2022, June 21). *Interim measures in antitrust investigations – Background note*. Directorate for Financial and Enterprise Affairs, Competition Committee, Working Party No.3 გვ.81

დღესდღეისობით, დროებითი ღონისძიებები ევროკავშირის დონეზე კონკურენციის სამართალდარღვევების აღკვეთის არსებით ინსტრუმენტად ჩამოყალიბდა. მეტიც, ბოლო პერიოდის მიდგომით, ევროკომისია, მზადაა, მაქსიმალურად გამოიყენოს დროებითი ზომები ("*make the best possible use*").[9]

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის დონეზე მიღწეულია მნიშვნელოვანი ჰარმონიზაცია, იურისდიქციებს შორის განსხვავებები კვლავ რჩება. ზოგადი სურათისათვის, აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი იურისდიქციის შემთხვევაში, როგორიცაა ისრაელი, ლიეტუვა , იაპონია, ამერიკის შეერთებული შტატები და სხვა რიგ ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოში, კონკურენციის ორგანოებს არ აქვთ უფლება, თავად დააწესონ დროებითი ღონისძიებები, თუმცა მათ შეუძლიათ სასამართლოს სთხოვონ ამ ღონისძიებების მიღება. გარდა ამისა, რამდენიმე იურისდიქციაში, სადაც დროებითი ღონისძიებების დაწესების უფლებამოსილება მხოლოდ სასამართლოებს აქვთ მინიჭებული, კონკურენციის ორგანოებს შესაძლოა არც კი ჰქონდეთ დროებითი ღონისძიებების მოთხოვნის უფლება — ეს უფლება მხოლოდ მომჩივნებს ეკუთვნით. ასეთი მაგალითია სამხრეთ აფრიკა, სადაც დროებითი ღონისძიებების დაწესების უფლებამოსილება სპეციალიზებულ სასამართლოს - კონკურენციის ტრიბუნალს აქვს მინიჭებული, ხოლო მათი მოთხოვნის უფლება მხოლოდ მომჩივნებს ეკუთვნით და არა კონკურენციის ორგანოს.[10]

„კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი") მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო (შემდგომში „სააგენტო") ეკონომიკურ აგენტთან მიმართებით უფლებამოსილია სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერების თაობაზე, თუ არსებობს აშკარა მტკიცებულება, რომ ეს ქმედება მნიშვნელოვნად ზღუდავს კონკურენციას კანონის მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად.

აღნიშნულ მექანიზმს ქართული კანონმდებლობა 2014 წლის 21 მარტის საკანონმდებლო ცვლილებების[11] შემდეგ იცნობს, რომლის ფარგლებშიც

---

[9] European Commission, *Statement by Commissioner Vestager on Commission decision to impose interim measures on Broadcom in TV and modem chipset markets*, 16 October 2019, ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/commission/presscorner/api/files/document/print/en/ip_19_6109/IP_19_6109_EN.pdf [02.06.2025]

[10] მაგალითად, სამხრეთ აფრიკა, OECD. (2022, June 21), op.cit.

[11] საქართველოს 2014 წლის 21 მარტის კანონი 2159-IIს, „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე"

საქართველოსა და ევროპის კავშირის ბაზრების თავსებადობის უზრუნველყოფის მიზნით, ძირეულად შეიცვალა კონკურენციის კანონმდებლობა.[12]

1. დროებითი ღონისძიებების გამოყენების სამართლებრივი სტანდარტები

ევროპის კავშირის საბჭოს 2002 წლის 16 დეკემბრის N1/2003 რეგლამენტის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, დროებითი ღონისძიებების გამოსაყენებლად საჭიროა ორი კუმულატიური პირობის დაკმაყოფილება.

- ***პირველ რიგში, უნდა არსებობდეს prima facie მტკიცებულება დარღვევის შესახებ, ანუ საკმარისია დარღვევის ალბათობის არსებობა,***
- ***მეორე მხრივ, კი უნდა არსებობდეს გადაუდებელი აუცილებლობა, რომელიც დაკავშირებულია მძიმე და გამოუსწორებელი ზიანის რისკთან კონკურენციისა ან/და მომხმარებლებისთვის.*** [13]

პირველი პირობისთვის საკმარისია სერიოზული და გონივრული ეჭვები ქმედების კანონიერებასთან დაკავშირებით იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს შესაბამისი ღონისძიებების გამოყენება,[14] ხოლო მეორე პირობისთვის ზიანის გარდაუვალობა აუცილებელი არ არის და იგი ჩაითვლება „გამოუსწორებლად“, თუ დასაბუთდება, რომ კონკურენციის უწყების საბოლოო გადაწყვეტილება ვეღარ შეძლებს მის გამოსწორებას.[15]

როგორც სასამართლო პრაქტიკა მიუთითებს, მიუხედავად იმისა, რომ „წინასწარი (prima facie) დარღვევის“ და „გადაუდებლობის“ კრიტერიუმები კუმულატიურია, ისინი გარკვეულწილად ერთმანეთთან არიან დაკავშირებულნი. ეს ნიშნავს, რომ „prima facie“ კრიტერიუმის შედარებითი სიძლიერე შეიძლება გათვალისწინებულ

---

[12] იხ. განმარტებითი ბარათი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე, გვ.1, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/134440 [27.05.2025]

[13] ევროკომისია, კონკურენციის გენერალური დირექტორატი, *პროცედურების სახელმძღვანელო კონკურენციის პოლიტიკისთვის: დროებითი ზომები*, აგვისტო, 2024 წელი, გვ.5-6

[14] საერთო სასამართლოს პირველი ინსტანციის პირველი პალატის 1991 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება საქმეში *Automobiles Peugeot SA and Peugeot SA v Commission of the European Communities,* T-23/90, ECLI:EU:T:1991:45, პარა. 63.

[15] საერთო სასამართლოს პირველი ინსტანციის სასამართლოს 1992 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება *La Cinq SA v Commission of the European Communities*, საქმე T-44/90, EU:T:1992:5, პარა. 79

იქნას გადაუდებელი აუცილებლობის შეფასებისას და, საჭიროების შემთხვევაში, იმ ინტერესების შეწონვისას, რომლებიც საქმეში ფიგურირებს.[16]

როგორც უკვე აღინიშნა, კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აგრეთვე, სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის №40 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის“ მე-7 მუხლის შესაბამისად, სააგენტო ეკონომიკურ აგენტთან მიმართებით უფლებამოსილია სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერების თაობაზე, თუ არსებობს აშკარა მტკიცებულება, რომ ეს ქმედება მნიშვნელოვნად ზღუდავს კონკურენციას კანონის მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად.

შესაბამისად, *კონკურენციის ქართული კანონმდებლობის მიხედვით, შუალედური ღონისძიებების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ისეთ საქმეებზე, სადაც მოკვლევა მიმდინარეობს დომინანტური მდგომარეობის სავარაუდო ბოროტად გამოყენებისა (კანონის მე-6 მუხლი) ან/და კონკურენციის სავარაუდო შემზღუდველი შეთანხმების (კანონის მე-7 მუხლი) ფაქტზე. შესაბამისად, ამ ეტაპზე კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სააგენტოს მიერ მოკვლევის პროცესში შუალედური ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობას კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებზე, კერძოდ, არაკეთილსინდისიერი კონკურენციისა (კანონის მე-11[3] მუხლი) და სახელმწიფო ორგანოების მიერ კონკურენციის სავარაუდო შეზღუდვის (კანონის მე-10 მუხლი) საქმეებთან დაკავშირებით.*

1.1. დარღვევის ალბათობა

დროებითი ღონისძიებები წარმოადგენს ძალზედ ეფექტურ ინსტრუმენტს მიმდინარე მოკვლევების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით იმ გარემოებებში, როდესაც სამართალდარღვევის სიმძიმე და პროცედურების ხანგრძლივობა არ იძლევა დროული ჩარევის შესაძლებლობას, რაც ქმნის კონკურენციაზე გამოუსწორებელი ზიანის მიყენების რისკს. შუალედური ზომები მოითხოვს წინასწარ, შესაბამისი სტანდარტის – ე.წ. prima facie ანალიზს, რაც კონკურენციის უწყებას ანიჭებს დისკრეციის საშუალებას შეაფასოს დარღვევის ალბათობა.

---

[16] იხ. მაგალითად: სასამართლოს თავმჯდომარი 2001 წლის 23 თებერვლის ბრძანება, *Austria* v *Council*, C-445/00 R, ECLI:EU:C:2001:123, პარა. 110; სასამართლოს თავმჯდომარის 2002 წლის 11 აპრილის ბრძანება, *NDC Health* v *IMS* , C-481/01 P(R), ECLI:EU:C:2002:223, პარაგრაფი 63; ასევე სასამართლოს ვიცე-თავმჯდომარის 2013 წლის 7 მარტის განჩინება, *EDF* v *Commission* , C-551/12 P(R), ECLI:EU:C:2013:157, პარაგრაფები 23 და 24

წინასწარი (prima facie) დარღვევის დადგენა შესაძლებელია ფაქტობრივი და სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, რომელიც „პირველი შთაბეჭდილებით“ მიუთითებს, რომ მოკვლევის მხარე ეკონომიკური აგენტი არღვევს ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 101-ე (კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებების აკრძალვა) ან 102-ე მუხლს (დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა). სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, „პირველი შთაბეჭდილებით“ დარღვევის დადგენა არ შეიძლება გათანაბრდეს იმ მტკიცების სტანდარტთან, რაც აუცილებელია საბოლოო გადაწყვეტილებისთვის. ასევე, წინასწარი დარღვევის დადგენა არ ნიშნავს „ცხად და უხეშ დარღვევას“ და არც იმას, რომ კონკურენციის წესების დარღვევა „ალბათობის საფუძველზე“ (“as a matter of probability”) დადასტურებულია.[17]

1.2. მძიმე და გამოუსწორებელი ზიანის თავიდან აცილების შეუძლებლობა

გარდა prima facie დარღვევის ალბათობისა, შუალედური ზომების გამოსაყენებლად უნდა დადასტურდეს, რომ სადავო ქმედების გაგრძელებამ, მანამ სანამ მთავარ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება გამოცხადდება, შესაძლოა გამოიწვიოს მისი ინტერესებისთვის მძიმე და გამოუსწორებელი ზიანი, შესაბამისად, არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა. მძიმე და გამოუსწორებელი ზიანი უნდა ატარებდეს ისეთ ხასიათს, რომ დროთა განმავლობაში დროებითი ღონისძიებების გამოუყენებლობამ, იმ შემთხვევაში, თუ კონკურენციის სამართლებრივ დავაში შემდგომში მომჩივანმა გაიმარჯვა, ზიანის აღმოფხვრა ვეღარ იქნება უზრუნველყოფილი.

ზიანის სიმძიმე დამოკიდებულია როგორც მიყენებული ზიანის ბუნებაზე, ისე მომჩივანის კონკრეტულ საბაზრო და ეკონომიკურ გარემოებებზე. გამოუსწორებელი ზიანი კი, როგორც წესი, ნიშნავს ისეთ ზიანს, რომელიც მთავარ საქმეზე მომჩივანის სასარგებლო გადაწყვეტილების შედეგადაც ვეღარ აღმოიფხვრება - მაგალითად, იმიტომ რომ შესაბამისი საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე მიყენებული ზიანი შეუქცევადი იქნება.

გადაუდებლობის ხარისხის შეფასება შესაძლებელია იმ გარემოებების გათვალისწინებით, როდესაც არსებობს რისკი, რომ კონკურენცია სერიოზულად

[17] იხ. მაგალითად: საერთო სასამართლოს პირველი ინსტანციის პირველი პალატის 1991 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება საქმეში *Automobiles Peugeot SA and Peugeot SA v Commission,* T-23/90, ECLI:EU:T:1991:45, პარა. 61; საერთო სასამართლოს პირველი ინსტანციის პირველმა პალატის 1992 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება საქმეში *La Cinq v Commission,* T-44/90, ECLI:EU:T:1992:5, პარაგრაფები 61 და 62; ასევე საერთო სასამართლოს თავმჯდომარის 2001 წლის 26 ოქტომბრის ბრძანება, *IMS Health v Commission,* T-184/01 R, ECLI:EU:T:2001:259, პარაგრაფი 68

და გამოუსწორებლად დაზიანდება მანამდე, სანამ კონკურენციის ორგანო შეძლებს მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება საქმის არსებით ნაწილთან დაკავშირებით.[18] სასამართლო პრაქტიკის თანახმად, საკმარისია, რომ განხილული ქმედების განხორციელების შედეგად გამოწვეული ზიანი ქმნიდეს რეალურ რისკს/საფრთხეს[19] ან მიიჩნეოდეს მოსალოდნელად (ანუ საკმარისი ალბათობით პროგნოზირებადად), განსაკუთრებით მაშინ, როცა ის დამოკიდებულია რიგი ფაქტორების დადგომაზე.[20] მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ჰიპოთეტური ზიანი არ არის საკმარისი მძიმე ან გამოუსწორებელი ზიანის დასამტკიცებლად, არ არის აუცილებელი, ზიანის გარდაუვალი დადგომა აბსოლუტური სიზუსტით იყოს დადასტურებული/დამტკიცებული.[21]

მაგალითად, სააგენტოს მიერ მოკვლეულ კინოთეატრის ბილეთების ონლაინ რეალიზაციის საქმეში,[22] მიჩნეულ იქნა, რომ შუალედური მექანიზმის გამოყენების საჭიროება გადაუდებელი ხასიათისაა, ვინაიდან მოპასუხე მხარეებს შორის დადებული ექსკლუზიური მიწოდების ხელშეკრულება (რომელიც, სავარაუდო კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედებად იყო მიჩნეული) მოქმედებდა 2023 წლის იანვრიდან, ხოლო მოკვლევა მიმდინარეობდა 2023 წლის 4 აპრილიდან, შესაბამისად, მიჩნეულ იქნა, რომ კონკურენციის შეზღუდვა ბაზარზე დაწყებული იყო სწორედ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდიდან, რაც გულისხმობდა: ბაზრის მონაწილე კონკურენტი კომპანიების განდევნას და რამაც გამოიწვია ბილეთების რეალიზაციის ბაზარზე ფასის, მომსახურების ხარისხისა და სხვა ალტერნატიული შეთავაზებების შეკვეცა (შეზღუდვა), მომჩივანმა დაკარგა რა წვდომა კინოთეატრის ბილეთების ონლაინ რეალიზაციის ბაზარზე, იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი ვერ ახორციელებდა სამეწარმეო საქმიანობას, განიცდიდა ზიანს მიუღებელი შემოსავლის სახით. ამასთან, **მომხმარებელი კარგავდა** ჯანსაღი კონკურენციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უპირატესობას - **არჩევანის პლურალიზმს.**

შესაბამისად, სააგენტომ მიიჩნია, რომ ზიანი, რომელიც ადგებოდა მომჩივან ეკონომიკურ აგენტს და ზოგადად, კონკურენციის პროცესს, გამოუსწორებელი

---

[18] ევროკავშირის N1/2003 რეგლამენტის მიღებამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებით, ამჟამად, ინდივიდუალური საწარმოს პოტენციური ზიანი გათვალისწინებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ემთხვევა კონკურენციის ზიანს. ამ ვითარებაში, ეკონომიკური აგენტის ინტერესები შეიძლება იქნეს დაცული ირიბად, კონკურენციის დაცვის მეშვეობით

[19] საერთო სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანება, IMS Health-სა v Commission, საქმე T-184/01 R, პარა. 144; სასამართლოს თავმჯდომარის 2002 წლის 11 აპრილის ბრძანება, NDC Health v IMS, საქმე C-481/01 P(R), ECLI:EU:C:2002:223, პარაგრაფები 68 და 69.

[20] სასამართლოს თავმჯდომარის 1995 წლის 19 ივლისის ბრძანება, *Commission v. Atlantic Container Line and Others*, საქმე C-149/95 P(R), ECLI:EU:C:1995:257, პარაგრაფი 38.

[21] იქვე

[22] საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 29 დეკემბრის N04/1031 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია: https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/phpdai1UR.pdf [04.05.2025]

ხასიათის იქნებოდა სააგენტოს მიერ „კონკურენციის შესახებ“ კანონის დარღვევის დადასტურების მიუხედავად. აქედან გამომდინარე, აუცილებელი იყო ექსკლუზივთან დაკავშირებული უფლებებისა და ვალდებულებების მოქმედების შეჩერება სააგენტოს მიერ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.[23]

სხვა შემთხვევაში, მაგალითად, „ფოთის პორტის“ საქმეში[24] სააგენტოს პოზიციით, თუ სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ მიერ 2016 წლის პირველი ივლისიდან დაგეგმილი კომბინირებული ტარიფი შევიდოდა ძალაში, მაშინ არ იყო გამორიცხული, რომ ადგილი ჰქონოდა ა) ბაზრიდან კონკურენტი კომპანიების გასვლას, რაც გამოიწვევდა სატერმინალო მომსახურების სასაქონლო ბაზარზე ფასისა და მომსახურების სხვა ალტერნატიული შეთავაზებების შეკვეცას (შეზღუდვას); ბ) წარმოების შემცირებას; გ) სხვადასხვა მომსახურების ბაზარზე (ლოგისტიკურ) გართულებებს. აღნიშნული მოკვლევის პროცესში, საქმის სიღრმისეული შესწავლის შემდეგ უნდა დაზუსტებულიყო, რაც, საბოლოო ჯამში, სააგენტოს პოზიციით, ქმნიდა შუალედური ღონისძიებების გამოყენების გადაუდებლობის შემთხვევას.[25]

2. დროებითი ღონისძიებების მახასიათებელი ზოგადი პრინციპები

ზემოთ აღნიშნულ პირობებთან ერთად, შუალედურ ზომებს ახასიათებთ ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპებიც, როგორიცაა: დროებითობა, შექცევადობა, მოქნილობა, მოქმედების დაუყოვნებელი ეფექტი და აღსრულებადობა. ამასთან, დროებითი ზომების გამოყენებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას პროპორციულობის პრინციპი.

2.1. დროებითობა, შექცევადობა და მოქნილობა

შუალედური ღონისძიებები შეიძლება განვიხილოთ, როგორც დროებითი ხასიათის სამართლებრივი საშუალებები, რადგან ისინი მოქმედებენ მანამ, სანამ საქმე არსებითად გადაწყდება („შუალედში“).[26] შუალედური ღონისძიებების

[23] იქვე, გვ.17-20

[24] საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 21 აპრილის ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია: https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/def47d73b32b4cf0a9538ce94addd593.pdf [04.05.2025]

[25] იქვე, გვ.11

[26]აშშ-ში, სასამართლოებს შეუძლიათ გასცენ წინასწარი შეზღუდვითი განკარგულებები „გაურკვეველი ვადით“, ანუ მანამ, სანამ არ დასრულდება საქმის არსებითი განხილვა (*pendente lite*),

მოქმედების ხანგრძლივობა შესაძლოა განისაზღვროს სხვადასხვა კრიტერიუმით, მათ შორის იმით, თუ რამდენი დროა საჭირო საქმეზე არსებითი გადაწყვეტილების მისაღებად, ან კონკრეტული საბაზრო პირობებით (მაგალითად, რამდენი დრო სჭირდებათ კონკურენტებს „სასუნთქად"). ზოგიერთ იურისდიქციაში, მაგალითად, გერმანიაში,[27] კონკურენციის სამართალი განსაზღვრავს შუალედური ღონისძიებების მაქსიმალურ ხანგრძლივობას. ანალოგიურად, სამხრეთ აფრიკაში,[28] თუ შუალედური ღონისძიების შესაზბე ბრძანება გაცემულია და მოკვლევა ექვსი თვის განმავლობაში არ დასრულებულა, კონკურენციის უწყებას შეუძლია გაახანგრძლივოს ის დამატებით ექვსი თვით. სხვა იურისდიქციებში, მაგალითად, ბრაზილიაში, შუალედური ღონისძიებები შეიძლება გაცემული იქნას კონკრეტული დროის შეზღუდვის გარეშე, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი შეიძლება მოქმედებდნენ მთელი ადმინისტრაციული წარმოების განმავლობაში.[29]

შუალედური ღონისძიებების დროებითი ხასიათი პრაქტიკაში ხშირად შეზღუდული მნიშვნელობისაა, რადგან მრავალი იურისდიქციის მიხედვით, ასეთი ზომების განახლება შესაძლებელია.[30] აღნიშნული განახლებადობის საშუალება მნიშვნელოვანია მათი ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით მაშინ, როცა მძიმე და გამოუსწორებელი ზიანის თავიდან აცილების საჭიროება კვლავაც არსებობს.[31] შუალედური ღონისძიებების განახლება არ უნდა იყოს ავტომატური და იგი უნდა დაექვემდებაროს ხელახალ შეფასებას.

მრავალ იურისდიქციაში, შუალედური ღონისძიებები, ასევე, შესაძლოა გახდეს შექცევადი.[32] ერთი მხრივ, შექცევადობა ართულებს ისეთი საშუალებების გამოყენებას, როგორიცაა, მაგალითად, აქტივების გაყიდვა შუალედური ღონისძიებების მეშვეობით. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ღონისძიებების დაკისრებაზე სამართლებრივი შეზღუდვა არ არსებობს, შუალედური ზომები, როგორც წესი, ქცევით ხასიათს ატარებს.[33] მეორე მხრივ, პრაქტიკაში შექცევადობის უზრუნველყოფა შედარებით ადვილია, როდესაც: (1) შუალედური ზომები მიზნად ისახავს არსებული მდგომარეობის (status quo)

მიუხედავად იმისა, რომ მათ აქვთ უფლება შეცვალონ ან გააუქმონ ასეთი წინასწარი განკარგულებები (U.S. Department of Justice - Antitrust Division, n.d., pp. IV-13)

[27] გერმანიის „კონკურენციის შეზღუდვების წინააღმდეგ" კანონის (Gesetz gegen Wettbewerbsbeschränkungen – GWB) 32a მუხლის (2) პუნქტი

[28] სამხრეთ აფრიკის „კონკურენციის შესახებ: კანონის (Competition Act, 1998) 49C მუხლის (5) პუნქტი

[29] OECD. (2022, June 21). *Op.cit., გვ.* 12-13

[30] იხ. მაგალითად, ევროკავშირის რეგლამენტის №1/2003-ის 8(2) მუხლი

[31] ევროპული კონკურენციის ქსელის (ECN) რეკომენდაცია დროებითი ღონისძიებები მიღების უფლებამოსილების შესახებ, პუნქტი 7

[32] იხ. OECD. (2022, June 21). *Op.cit.,* გვ.13

[33] ქცევის ბუნების მიუხედავად, ეს ზომები შესაძლოა მაინც ისახავდეს მიზნად ბაზრის სტრუქტურის შენარჩუნებას, იხ. O'Donoghue, R. and J. Padilla (2020), The Law and Economics of Article 102 TFEU, Bloomsbury Publishing.

შენარჩუნებას; ან (2) სავარაუდო ანტიკონკურენტული ქცევა გამომდინარეობს ეკონომიკურ სუბიექტებს შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობიდან და, შესაბამისად, შუალედური ზომები ან მხოლოდ მომავალ ხელშეკრულებებს/ვალდებულებებს ეხება, ან დროებით აჩერებს მიმდინარე ხელშეკრულებებში არსებულ prima facie ანტიკონკურენტულ მუხლებს.[34]

ბოლოს, დროებითი ღონისძიებები შეიძლება დამატებით ადაპტირდეს, როგორც მიმდინარე მოკვლევაში მიღებული ახალი ინფორმაციის საფუძველზე, ასევე, ბაზრის განვითარების შედეგად.[35] ეს არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რომელიც უზრუნველყოფს ამ ინსტრუმენტის მუდმივ ეფექტურობას.

როგორც უკვე აღინიშნა, ქართული კონკურენციის კანონმდებლობა ეკონომიკურ აგენტთან მიმართებით ითვალისწინებს ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, უფრო კონკრეტულად კი, <u>სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერების შესაძლებლობას.</u> კანონმდებლობა არ აზუსტებს, თუ რამდენჯერ არის შესაძლებელი აღნიშნული ზომის გამოყენება ან უნდა გავრცელდეს აღნიშნული მექანიზმი მხოლოდ უკვე არსებულ თუ მომავალში ასამოქმედებელ სავარაუდო კონკურენციის შემზღუდველ ქმედებებზე, თუმცაღა, აღნიშნულს აზუსტებს სააგენტოს პრაქტიკა, *მაგალითად, მომავალში ასამოქმედებელ ვალდებულებებთან დაკავშირებით, სააგენტოს მიერ „ფოთის პორტის საქმის“ მოკვლევის ფარგლებში[36] გამოყენებული დროებითი ღონისძიება მიმართული იყო სწორედ მომავალ პერიოდში ასამოქმედებელ ახალ სატარიფო სქემასთან, კერძოდ, სასამართლოს 2016 წლის ივნისის განჩინებით შეჩერებულ იქნა 2016 წლის პირველი ივლისიდან ასამოქმედებლი სქემა სააგენტოს მიერ საქმის საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.*

---

[34] იხ. „კინოთეატრის ბილეთების ონლაინ რეალიზაციის საქმეში“ გამოყენებული დროებითი ღონისძიება

[35] იხ. მაგალითად, Gympass-ის საქმე (მეორადი სარჩელი № 08700.007228/2021-88; და ადმინისტრაციული მოკვლევა №08700.004136/2020-65) ბრაზილიაში, https://www.lexology.com/commentary/competition-antitrust/brazil/vmca/cade-suspends-exclusivity-contracts-on-wellness-platforms-market [10.06.2025], https://sei.cade.gov.br/sei/modulos/pesquisa/md_pesq_documento_consulta_externa.php?HJ7F4wnIPj2Y8B7Bj80h1lskjh7ohC8yMfhLoDBLddao4CLluheitNDM1fOgdMXqkCesuVxdtc2g9s-YxRgzQ5fNyBFaThd3HqZ_E1sjdqnjC_Y8XxyjXUswHCn-rfM [21.05.2025]

[36] საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 21 აპრილის ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, „ფოთის პორტის საქმე“, გვ.11

2.2. დაუყოვნებელი ეფექტი და აღსრულებადობა

ვინაიდან დროებითი ღონისძიება გამოყენებადია გადაუდებელი სიტუაციების დროს, ისინი, როგორც წესი, მოითხოვს დაუყოვნებლივ (ან ძალიან მოკლე დროში) აღსრულებას. დაუყოვნებლივი აღსრულება შესაძლოა ექვემდებარებოდეს გამონაკლისებს, როდესაც მხარეები გაასაჩივრებენ დროებითი ზომის გადაწყვეტილებას და მოიპოვებენ სასამართლოს დროებით ბრძანებას, რომელიც შეაჩერებს მის მოქმედებას.

ამ ინსტრუმენტის ეფექტური გამოყენებისთვის მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილ იქნას დროებითი ზომების შესახებ გადაწყვეტილებების აღსრულება. შესაბამისი მხარეებისაგან პერიოდული ანგარიშები ხშირად ეხმარება კონკურენციის ორგანოებს მონიტორინგში.[37] ანგარიშის მოთხოვნები უნდა იყოს დეტალურად განსაზღვრული დროებითი ღონისძიებების შესახებ გადაწყვეტილებებში/ბრძანებებში. მონიტორინგი ასევე მნიშვნელოვანია ზომების განახლებისა და გადახედვისთვის.[38]

დროებითი ღონისძიებების ეფექტთან დაკავშირებით, პრაქტიკაში რელევანტურია მისი ზეგავლენის შეფასება სავარაუდო ანტიკონკურენტული ქმედების შეკავებასა თუ შემდგომ აღკვეთაზე. ასე, მაგალითად, სააგენტოს მიერ განხორციელებული ზემოხსენებულ „ფოთის პორტის საქმის“ მოკვლევის ფარგლებში, სააგენტოს საბოლოო გადაწყვეტილებით, მიუხედავად იმისა, რომ სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ მიერ დაგეგმილი სახით კონტეინერების გადამუშავების ახალი სქემის ამოქმედება მიჩნეულ იქნა კონკურენციის შემზღუდველ ქმედებად, არ დადასტურდა დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტი - სწორედ კონტეინერების გადამუშავების ახალი სქემის აუმოქმედებლობის გამო, რაც, თავის მხრივ, სააგენტოს შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლოს მიერ დროებითი ღონისძიების გამოყენების შედეგად განსახორციელებლი ქმედების შეჩერების შესახებ განჩინების სამართლებრივი შედეგი იყო.[39]

გარდა ამისა, „კინოთეატრის ბილეთების ონლაინ რეალიზაციის საქმეში“ სააგენტოს მიერ შუალედური ღონისძიების გამოყენების შემდგომ, კერძოდ 2023 წლის 3 აგვისტოს მიღებული ბრძანების შემდეგ, შპს „სადისტრიბუციო კომპანიამ“

---

[37] იხილეთ, მაგალითად, საფრანგეთის კონკურენციის უწყება Google News-ის საქმეში, რომელიც ავალდებულებდა Google-ს შეემუშავებინა შესაბამისობის ანგარიშები გამომცემლებთან მოლაპარაკებების დროს

[38] Lowe, Philip and Frank P. Maier-Rigaud (2008) Quo Vadis Antitrust Remedies, in: B. Hawk (ed.), International Antitrust Law & Policy: Fordham Competition Law 2007, Fordham University School of Law, chapter 20, გვ.620

[39] იხ. „ფოთის პორტის საქმე“. გვ.145-146

კინოთეატრის ბილეთებზე წვდომა აღუდგინა მომჩივან შპს „ელ.ბილეთებს“ და მასთან გააფორმა ხელშეკრულება ბილეთების მიწოდების შესახებ, რის საფუძველზეც მომჩივანმა შეძლო ბაზარზე დაბრუნება.[40] შესაბამისად, იმის შემდგომ, რაც ბაზარი 8 (რვა) თვით ჩაკეტილი იყო, ექსკლუზიური მიწოდების დებულების მოქმედების შეჩერების შემდგომ მოკვლევის დასრულებამდე და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე კვლავ გაიხსნა ბაზარი და შესაბამისად, გაჩნდა კონკურენცია.

აღსანიშნავია, რომ კონკურენციის კანონმდებლობა დროებითი ზომების გადაწყვეტილებების დარღვევისთვის ან/და შეუსრულებლობისათვის ხშირად განსაზღვრავს შედეგებსაც – ძირითადად, ფინანსური სანქციის სახით.[41] დროებითი ღონისძიებების შესრულების ვადაგადაცილების შემთხვევაში პერიოდული ჯარიმების დაწესების უფლება ასევე შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი პრევენციური ფაქტორი, რადგან ასეთი ვადაგადაცილებები შეიძლება განსაკუთრებით საზიანო იყოს ამ კონტექსტში. თუმცაღა, ზოგ იურისდიქციაში კონკურენციის ორგანოებს არ აქვთ პირდაპირი სანქციების დაწესების უფლება და მათ უნდა მიმართონ სასამართლოს სანქციების დაწესების უზრუნველსაყოფად.

ქართული კონკურენციის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ჯარიმას ან სხვა სახის სანქციას დროებითი ღონისძიების შესახებ ბრძანების შეუსრულებლობის გამო, ვინაიდან მისი მიმღები ორგანო არის არა სააგენტო, არამედ შესაბამისი სასამართლო, აქედან გამომდინარე, მისი შეუსრულებლობა ექვემდებარება სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობის პასუხისმგებლობის მარეგულირებელ ზოგად წესებს.

2.3. პროპორციულობა

პროპორციულობის პრინციპი ადმინისტრაციულ წარმოებაში ზოგადად, ვრცელდება ყველა ტიპის უფლებამოსილებასა და გადაწყვეტილებაზე, მათ შორის, დროებით ღონისძიებაზეც.

---

[40] გვ.173

[41] ჯარიმების მაქსიმალური ოდენობა, რომელიც შეიძლება განესაზღვროს, სხვადასხვა იურისდიქციებში განსხვავდება. ზოგიერთ იურისდიქციაში მაქსიმალური ჯარიმა შეესაბამება იმ ჯარიმას, რომელიც შეიძლება დაკისრებულ იქნას გადაწყვეტილებების შეუსრულებლობისთვის. სხვა იურისდიქციებში, მაქსიმალური ოდენობა უფრო დაბალია, ვიდრე გადაწყვეტილებების შეუსრულებლობისთვის დაკისრებული ჯარიმის მაქსიმუმი, ან შეიძლება იყოს საექსპერტო დარღვევებისთვის დაკისრებული მაქსიმალური თანხა.

ინტერესთა ბალანსი ანუ პროპორციულობა, ამ შემთხვევაში, გულისხმობს შემდეგს - შუამდგომლობის ავტორმა უნდა დაადასტუროს, რომ დროებითი ღონისძიების გამოყენებისადმი მისი ინტერესი აღემატება იმ ინტერესებს, რომლებიც დაკავშირებულია იმ სადავო ქმედების გაგრძელებასთან, რომელსაც იგი ასაჩივრებს. მოსამართლის განკარგულებას დროებითი ღონისძიების გამოყენებაზე ან მისი გამოყენების უარყოფაზე, როგორც წესი, გავლენა აქვს ყველა დაინტერესებულ მხარეზე. ინტერესთა ბალანსის ტესტში მოსამართლე წონის თითოეული მხარისთვის რისკებს შესაძლო შედეგების გათვალისწინებით.

პირველ რიგში, დროებითი ღონისძიებების მასშტაბი/ფარგლები დამოკიდებულია იმ ეტაპზე შეგროვებულ მტკიცებულებებზე, რომელზეც მიმდინარეობს მოკვლევა.[42]

მეორე მხრივ, მძიმე და გამოუსწორებელი ზიანის თავიდან აცილების გარდაუვლობის შეფასება უნდა ასახავდეს პროპორციულობის პრინციპს[43], კერძოდ, უნდა განისაზღვროს, თუ დავის საგნის რა ნაწილზეა აუცილებელი სწრაფი ჩარევა, ნაცვლად იმისა, რომ ზომები გავრცელდეს მოკვლევის მთელ საგანზე. შედეგად, დროებითი ღონისძიებები ხშირად უფრო ვიწროა, ვიდრე მოკვლევის ყველა საკითხი, ან ეხება მხოლოდ გარკვეულ prima facie კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებებს ან პრაქტიკებს. სხვა სიტყვებით, ამ პრინციპის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ დროებითი ღონისძიებები არ უნდა სცდებოდეს იმ საბოლოო ზომებს, რომლებიც კონკურენციის ორგანოს შეუძლია დააწესოს საბოლოო გადაწყვეტილებით.

ასევე, გათვალისწინებულ უნდა იქნას, რომ მიღებული ზომები არ უნდა აღემატებოდეს იმ ფარგლებს, რაც შესაბამისი/აუცილებელია მძიმე და გამოუსწორებელი ზიანის თავიდან ასაცილებლად კონკურენციისათვის. უფრო მეტიც, როდესაც არსებობს რამდენიმე შესაბამისი ალტერნატივა, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ყველაზე ნაკლებად მძიმე საშუალებას და გამოწვეული უარყოფითი შედეგები არ უნდა იყოს არაპროპორციული დასახულ მიზნებთან შედარებით.[44]

---

[42] ამასთან დაკავშირებით, იხ. Schweitzer, Heike. *The New Competition Tool – Its Institutional Set-up and Procedural Design: Expert Study*. ევროკომისია, გენერალური დირექტორატი კონკურენციის საკითხებში, 2020 წ., ხელმისაწვდომია: https://op.europa.eu/s/vUwC [08.05.2025]

[43] Lowe, Philip and Frank P. Maier-Rigaud (2008) Quo Vadis Antitrust Remedies, op.cit., გვ.66

[44] იხ. მაგალითად: საერთო სასამართლოს მეოთხე პალატის 2014 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება, *Orange v Commission*, T-402/13, ECLI:EU:T:2014:991, პარა. 22; სასამართლოს მეექვსე პალატის 2018 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება, *Lloyd's of London*, C-144/17, ECLI:EU:C:2018:78, პარა. 32; სასამართლოს მეორე პალატის 2020 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება, *Groupe Canal + v Commission*, C-132/19, ECLI:EU:C:2020:1007, პარა. 104

3. დროებითი ღონისძიებების პროცედურული წესები

დროებითი ზომების დაწესებისას კონკურენციის ორგანოებმა უნდა დაიცვან ძირითადი საპროცესო მოთხოვნები. ეს მოთხოვნები განსხვავდება იურისდიქციების მიხედვით და მათ შეიძლება გავლენა ჰქონდეთ დროებითი ზომების გამოყენების მოტივებზე.

3.1. ინიცირება ex officio ან შუამდგომლობის საფუძველზე

იმ იურისდიქციებს შორის, სადაც კონკურენციის ორგანოებს დროებითი ზომების პირდაპირი დაკისრების უფლება აქვთ, შესაძლებელია განსხვავება დავინახოთ იმ სამართლებრივ რეჟიმებს შორის, რომლებიც კონკურენციის ორგანოებს ანიჭებენ დროებითი ზომების დაკისრების უფლებას: (1) მხოლოდ საკუთარი ინიციატივით (ex officio), ანუ მომჩივნებისაგან დროებითი ზომების მოთხოვნის შესაძლებლობის გამორიცხვით (მაგ. ევროკავშირი და გერმანია); ან (2) როგორც საკუთარი ინიციატივით, ისე მხარის მიმართვის საფუძველზე (მაგ. ბრაზილია, საფრანგეთი, პორტუგალია, ესპანეთი და დიდი ბრიტანეთი). ეს ორი ჩარჩო მნიშვნელოვან სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს. მიუხედავად ამისა, მაშინაც კი, როდესაც იურისდიქცია მხოლოდ ex officio რეჟიმს ითვალისწინებს, მხარეებს მაინც შეუძლიათ მიაწოდონ კონკურენციის ორგანოებს (დასაბუთებული) ინფორმაცია/მტკიცებულება, რამაც შესაძლოა მყისიერად გახადოს საჭირო დროებითი ზომების მიღება. ამასთანავე, კონკურენციის ორგანოს არ გააჩნია ვალდებულება, ოფიციალურად უარი თქვას დროებითი ზომების მიღების მომართვაზე[45].

სამართლებრივი რეჟიმები, სადაც კონკურენციის ორგანოებს აქვთ დროებითი ზომების დაწესების უფლება მომჩივნის მოთხოვნის საფუძველზე, ქმნის მნიშვნელოვან სტიმულებს ამ ინსტრუმენტის გამოყენებისთვის. ევროპის ეკონომიკური ზონის ფარგლებში დამუშავებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2015 წლიდან 2020 წლის აპრილამდე მიღებული დროებითი ზომების 70% სწორედ საჩივრის საფუძველზე იქნა დაწესებული.[46]

---

[45] Leonardo Arnaudo, *Le misure cautelari nel diritto antitrust comunitario e nazionale*, in *Rivista Italiana di diritto pubblico comunitario*, Vol. 6, 2016, გვ.12, ხელმისაწვდომია: https://www.academia.edu/1076772/Le_misure_cautelari_nel_diritto_antitrust_comunitario_e_nazionale. [28.05.2025]

[46] PaRR Analytics (2020), Increasing interim measure use stirs consequences debate, ხელმისაწვდომია: https://www.parr-global.com/parr-analytics-increasing-interim-measure-use-stirs-consequences-debate [27.05.2025]

დროებითი ღონისძიების საკითხის დაყენების დროს, კონკურენციის ორგანოს პოზიციაზე ასევე გავლენა შეიძლება მოახდინოს იმან, უკავშირდება თუ არა კონკურენციის ორგანოს საჯარო ინტერესი დროებითი ზომების ამოქმედებით მთლიანად კონკურენციაზე ზიანის პრევენციას (და, შესაბამისად, მომხმარებლის დაცვასაც), რაც გამოწვეულია ბაზრის პირობების შეუქცევადი ცვლილებებით და „თავისუფლების დაკარგვით"/„loss of freedom" (როგორიცაა, მაგალითად, კონკურენტების ბაზრიდან გასვლა, მათი მარგინალიზაცია ან მომხმარებლის არჩევანის შემცირება"[47]) თუ მხოლოდ კონკრეტული დაინტერესებული მხარისათვის ზიანის თავიდან აცილებას.

ამის პარალელურად, მნიშვნელოვანია, რომ კონკურენციის ორგანოებმა უნდა აღკვეთონ ამ საგანგებო ინსტრუმენტის ბოროტად გამოყენება კონკურენტების მიერ. ამ რისკების შესამცირებლად, ზოგიერთ იურისდიქციაში მოითხოვება, რომ დროებითი ზომების გამოყენების შესახებ შუამდგომლობას თან ახლდეს საჩივარიც, რომელიც საკმარისი მტკიცებულებებითაა გამყარებული ან/და სადავო საკითხზე უკვე მიმდინარეობდეს მოკვლევა.[48]

ბოლოს, ამ იურისდიქციების უმეტესობაში მხარეებს, როგორც წესი, აქვთ შესაძლებლობა, დროებითი ზომების მოთხოვნა წარადგინონ, როგორც კონკურენციის ორგანოში, ისე სასამართლოში. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორი გზის გამოყენება, როგორც წესი, პარალელურად არის შესაძლებელი, სასამართლოები უფრო მეტად ორიენტირებულნი არიან მოსარჩელის ზიანზე, მაშინ, როცა კონკურენციის ორგანოები ფართო ზიანის თეორიაზე დაყრდნობით მოქმედებენ. ეს ნიშნავს იმას, რომ სასამართლოსა და კონკურენციის ორგანოს ანალიზის მასშტაბები შეიძლება ერთმანეთისგან განსხვავდებოდეს.[49]

კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერების თაობაზე. სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებას ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერების თაობაზე სააგენტოს შუამდგომლობის საფუძველზე იღებს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.[50]

---

[47] *შეად.* სააგენტოს დასაბუთება „კინოთეატრის ბილეთების ონლაინ რეალიზაციის საქმეში" შუალედური ღონისძიებების გამოყენების შესახებ სასამართლოსადმი შუამდგმლობაში, გვ.7

[48] OECD, *op. cit.*, p. 15

[49] იქვე

[50] საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მუხლი 21[75]

აღნიშნული ჩანაწერიდან გამომდინარეობს რამდენიმე დასკვნა, 1) სააგენტო თავად არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება შუალედური ღონისძიების გამოყენების თაობაზე, 2) სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებაშია საკითხის გადაწყვეტა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად არსებობს საფუძვლები დროებითი ღონისძიების გამოყენების აუცილებლობისა და გადაუდებლობის შესახებ 3) ამ უკანასკნელის გათვალისწინებით, სააგენტო შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს შუალედური ღონისძიების გამოყენების შესახებ, რომელზე გადაწყვეტილების მიღებაც ამ სასამართლოს უფლებამოსილებაშია.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მიხედვით, მოსამართლე ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერების თაობაზე სააგენტოს შუამდგომლობას განიხილავს წარდგენიდან 1 (ერთი) თვის განმავლობაში ზეპირი მოსმენით. სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე გარკვეული ქმედების დროებით შეჩერებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის გადაწყვეტილება მიიღება ბრძანების ფორმით.[51]

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა სააგენტოს შუალედური ზომის გამოყენების შესახებ შუამდგომლობის დაყენების ex officio უფლებამოსილებას ანიჭებს, კანონმდებლობა არ კრძალავს შესაძლებლობას თავად მომჩივანმა ეკონომიკურმა აგენტმა/აგენტებმა მიმართოს/მიმართონ სააგენტოს (მაგ: საჩივარში ან მოკვლევის პერიოდში წერილობით) შესაბამისი დასაბუთებითა და მტკიცებულებებით, რათა ამ უკანასკნელმა გამოიყენოს მის ხელთ არსებული კანონმდებლობით გათვალისწინებული აღნიშნული მექანიზმი.

3.2. მოკვლევის ეტაპი

დროებითი ზომები, როგორც წესი, მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში მიიღება. განსხვავება შეინიშნება იმ იურისდიქციებს შორის, სადაც დროებითი ზომების დაწესება შესაძლებელია ფორმალური მოკვლევის დაწყებამდეც და იმ იურისდიქციებს შორის, სადაც ფორმალური მოკვლევის არსებობა სავალდებულოა. ამ საპროცესო განსხვავებებს მკაფიო გავლენა აქვთ როგორც კონკურენციის ორგანოების მოტივებზე დროებითი ზომების დაწესების საკითხში, ასევე იმაზე, თუ რამდენად შესაძლებელია prima facie (წინასწარი შეფასების) და გადაუდებლობის კრიტერიუმების დაკმაყოფილება.

[51] საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21[77] მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილები

შესაძლოა არსებობდეს შემთხვევები, როდესაც ფორმალური წარმოების არსებობის სავალდებულო კრიტერიუმმა შეაფერხოს დროებითი ზომების ეფექტურობა, რადგან ბაზარზე შეიძლება უკვე დამდგარი იყოს შეუქცევადი ცვლილებები.[52] ამასთან, მოკვლევის ფორმალური დაწყება ხშირად წარმოადგენს აუცილებელ ნაბიჯს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის იწვევს საპროცესო გარანტიების ამოქმედებას. იგი ასევე შეიძლება იყოს მკაფიოდ განსაზღვრული საწყისი წერტილი, მაგალითად, ბაზრის ფარგლებისა და prima facie საკითხების განსაზღვრისთვის დროებითი ღონისძიებების კონტექსტში.

პრაქტიკაში, ეს განსხვავება შესაძლოა მნიშვნელოვნად არ აისახოს იმ შემთხვევაში, თუ დროებითი ზომის შესახებ გადაწყვეტილება ფორმალური მოკვლევის დაწყებისთანავე მიიღება. იმ შემთხვევაში, თუ მოკვლევა სავალდებულოა, ზოგიერთ იურისდიქციაში დროებითი ზომების დაწესება შესაძლებელია მისი დაწყებისთანავე მოპასუხისათვის შეუტყობინებლად, მაშინ როდესაც სხვა იურისდიქციებში ამისათვის საჭიროა მოპასუხისათვის შეტყობინება მისი მოსაზრებების მისაღებად (ე.წ. Statement of Objections).

დროებითი ზომების დაწესება, ასევე, არ არის გამორიცხული მოკვლევის გვიანდელ ეტაპზეც, რადგან ინდუსტრიების დინამიკა მოკვლევის მიმდინარეობისას (რომელიც ხშირად წლების განმავლობაში გრძელდება) შეიძლება შეიცვალოს და საჭირო გახადოს დროებითი ზომების მიღება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი მოკვლევის საწყის ეტაპზე არ ყოფილა დაწესებული.

ქართული კანონმდებლობა პირდაპირ მიუთითებს, რომ კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებულ საქმეებში, სააგენტოს მიერ დროებითი ღონისძიება შესაძლებელია გამოყენებულ იქნას „სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე", რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული მექანიზმი გამოიყენება მხოლოდ მოკვლევის ფორმალური წარმოების ფარგლებში და მის საფუძველზე სააგენტოს გადაწყვეტილების გამოტანამდე ნებისმიერ ეტაპზე.[53]

რაც შეეხება სააგენტოს პრაქტიკას, ერთ-ერთ საქმეზე, რომელშიც გამოყენებულ იქნა დროებითი ღონისძიება, კერძოდ, „კინოთეატრის ბილეთების ონლაინ რეალიზაციის საქმეზე" მოკვლევა დაიწყო 2023 წლის 4 აპრილს, სააგენტომ სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა 2023 წლის 12 ივნისს, ხოლო

[52] ამასთან დაკავშირებით, იხ: Herbert Smith Freehills (2019), *A First in 20 years: EU Commission imposes interim measures on Broadcom*, https://hsfnotes.com/crt/2019/10/18/a-first-in-20-years-eu-commission-imposes-interim-measures-on-broadcom/ [02.06.2025]

[53] „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ" ქვეპუნქტი

სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2023 წლის 3 აგვისტოს, დაკმაყოფილდა სააგენტოს შუამდგომლობა და შეჩერდა მოპასუხე მხარეების - შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს „თინეთს“ შორის დადებული ხელშეკრულების ექსკლუზივის პირობის შემცველი მუხლი და ამ ექსკლუზივთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები.[54] შესაბამისად, სააგენტომ ამ შემთხვევაში მოკვლევის საწყის ეტაპზევე, მოკლევის დაწყებიდან მალევე, დაახლოებით 2 (ორი) თვის შემდგომ მიმართა სასამართლოს შესაბამისი შუამდგომლობით.

ხოლო, სააგენტოს მიერ მოკვლეულ მეორე - „ფოთის პორტის საქმეში“ სააგენტომ მოკვლევა დაიწყო 2016 წლის 21 ივნისს, სააგენტომ სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა 2016 წლის 23 ივნისს, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 24 ივნისის დროებითი განჩინებით შეჩერებულ იქნა სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ მიერ 2016 წლის პირველი ივლისიდან განსახორციელებელი ქმედება.[55] შესაბამისად, ამ შემთხვევაში, დროებითი ღონისძიების საკითხი, (მისი გადაუდებელი აუცილებლობისა და prima facie დარღვევის არსებობის საფუძველზე) დღის წესრიგში დადგა თავად მოკვლევის დაწყების მომენტშივე.

ყველა შემთხვევაში, კანონმდებლობა არ აზუსტებს თუ რა ვადაში შეუძლია სააგენტოს გამოიყენოს აღნიშნული ბერკეტი მოკვლევის მიმდინარეობის პერიოდში, თუმცაღა, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, სააგენტო მოკვლევის დაწყებისთანავე უახლოეს პერიოდში იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნულის თაობაზე. ეს გარემოება განპირობებულია, ერთი მხრივ, იმით, რომ მოკვლევის დაწყებას საფუძვლად უდევს დასაბუთებული ვარაუდი, ე.წ. გონივრული ეჭვი, იმის თაობაზე, რომ დაირღვა კონკურენციის კანონმდებლობა, რაც ნიშნავს იმას, რომ სააგენტოს გააჩნია საკმარისი საფუძველი და შესაბამისად, დროებითი ღონისძიების გამოყენების საჭიროების დასაბუთება, ხოლო, მეორე მხრივ, აღნიშნული ღონისძიება წარმოადგენს ერთგვარ შემაკავებელ ბერკეტს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე კანონმდებლობის დარღვევის შესაჩერებლად და აუცილებელია, რომ რაც შეიძლება სწრაფად იქნას უზრუნველყოფილი გამოუსწორებელი ზიანის მიყენების საშიშროების აღმოფხვრა.

[54] საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 29 დეკემბრის N04/1031 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, op. cit., გვ. 19

[55] საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 21 აპრილის ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, op. cit., გვ. 9-11

3.3. პროცედურული გარანტიები

დროებითი ზომები შესაძლოა მოაზრებულ იქნას როგორც გამონაკლისი უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპიდან[56], განსაკუთრებით იმ იურისდიქციებში, სადაც კონკურენციის ორგანოს აქვს დროებითი ზომების დაწესების პირდაპირი უფლება და გადაწყვეტილებას ამ ზომების დაწესების შესახებ იღებს იგივე ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც არსებითად განიხილავს საქმის არსს. მიუხედავად ამისა, მსგავსი შეშფოთებები, როგორც წესი, მნიშვნელოვნად ნეიტრალიზებულია სამი ძირითადი მექანიზმით: (1) დროებითი ზომების დაწესებისთვის მკაცრი სამართლებრივი და მტკიცებულებითი სტანდარტების არსებობით, (2) დროებითი ზომების გადაწვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობით (და, უმეტეს შემთხვევაში, მათი მოქმედების შეჩერების მოთხოვნის უფლებით) და (3) საპროცესო გარანტიებით.

საპროცესო გარანტიებიდან გამომდინარე, დროებითი ზომების მიღება მოითხოვს ბალანსის დაცვას ორ საჭიროებას შორის: ერთი მხრივ, სწრაფ და ეფექტიან მოქმედებას მძიმე და შეუქცევადი ზიანის თავიდან ასაცილებლად და მეორე მხრივ, მხარეების დაცვის უფლების გარანტიას. დროებითი ზომების პროცედურები, როგორც წესი, ითვალისწინებს ძირითადი გარანტიების დაცვას ამ უფლებების უზრუნველსაყოფად.

მაგალითად, დროებითი ზომების დაწესებისთვის, ევროკომისია ვალდებულია გაავრცელოს ე.წ. „მოსაზრებების განცხადება“ (statement of objections), მისცეს ადრესატს პასუხის წარდგენის შესაძლებლობა,[57] უზრუნველყოს საქმის მასალებზე წვდომა,[58] ასევე, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს ზეპირი მოსმენა –

---

[56] Mihály Kádár, 'The Use of Interim Measures and Commitments in the European Commission's Broadcom Case' (2021) 12(6) Journal of European Competition Law & Practice, Vol. 12/6, გვ.-451, ხელმისაწვდომია: https://doi.org/10.1093/jeclap/lpaa105 [10.06.2025]

[57] მიუხედავად იმისა, რომ დროებითი ზომების წარმოებაში შენიშვნების განცხადებაზე (statement of objections) პასუხის გასაცემად განსაზღვრული ვადა, როგორც წესი, მოკლეა ძირითად წარმოებაში განსაზღვრულ ვადასთან შედარებით, ეს მაინც წარმოადგენს პროცესის აუცილებელ ნაწილს, რომელიც უზრუნველყოფს მხარის დაცვის უფლების მინიმალურ გარანტიებს.
მოკლე ვადები მიმართულია პროცესის დაჩქარებისკენ მძიმე და შეუქცევადი ზიანის თავიდან აცილების მიზნით, თუმცა მათ არ უნდა შეზღუდონ ფუნდამენტური უფლებები, მათ შორის – სამართლებრივი მოსმენის უფლება

[58] დიდი ბრიტანეთის ციფრული კონკურენციის ექსპერტთა პანელის ანგარიშში აღინიშნა, რომ პროცედურულ ცვლილებებს *„დადებითი გავლენა ექნებოდა დროებითი ზომების პრაქტიკული გამოყენების ხელშეწყობაზე“*. ანგარიშმა რეკომენდაცია მისცა, რომ ერთი მხრივ, შემცირდეს კონკურენციის ორგანოებზე დატვირთვა, ხოლო მეორე მხრივ, დაცულ იქნას მხარეების სამართლებრივი გარანტიები - მაგალითად, განისაზღვროს საქმის მასალებზე *შეზღუდული წვდომა*, რაც გულისხმობს მხოლოდ იმ დოკუმენტების წარდგენას, რომლებიც პირდაპირ ეხება დროებითი ზომების საკითხს, (იხ. Digital Competition Expert Panel (2019), Unlocking digital competition - Report of the Digital Competition Expert Panel,

თუმცა ეს პროცედურები მიმდინარეობს მთავარ წარმოებასთან შედარებით დაჩქარებულ ვადებში.

სხვა იურისდიქციებმა აირჩიეს კიდევ უფრო დაჩქარებული პროცედურები.[59] მაგალითად, პორტუგალიაში კონკურენციის ორგანოს შეუძლია დროებითი ზომების (სულ მცირე, წინასწარი) დაწესება *inaudita altera parte*, ანუ მხარის მოსმენის გარეშე. ანალოგიურად, იტალიაში არსებობს ორი ტიპის პროცედურა მოკვლევებში დროებითი ზომების მისაღებად – განსხვავება არსებითად იმაშია, ჰქონდათ თუ არა მხარეებს შესაძლებლობა ბრალდებებზე პასუხის გაცემისა. *Inaudita altera parte* პროცედურა გამოიყენება მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის პირობებში. ასეთ შემთხვევაში, დაწესებული ზომები ატარებს წინასწარ, დროებით ხასიათს და საჭიროებს მხარეების პასუხების მიღების შემდეგ მათ გადახედვასა და დამტკიცებას.

მიუხედავად იმისა, რომ დასაბუთებული სამართალწარმოების უფლება უდავოდ უმნიშვნელოვანესია ისეთი ინტენსიური ჩარევის ინსტრუმენტისთვის, როგორიცაა დროებითი ზომები, ვერ იქნება უგულებელყოფილი ის ფაქტი, რომ განსაკუთრებით მძიმე და ბიუროკრატიული პროცედურები ზეგავლენას ახდენს კონკურენციის ორგანოების გადაწყვეტილებაზე, გამოყონ თუ არა მნიშვნელოვანი რესურსები დროებითი ზომების წამოწყებისთვის. ეს განსაკუთრებით ეხება რთულ და რესურსმოჭარბებულ საქმეებს, სადაც მოკვლევა უკვე კარგად არის განვითარებული, ან არსებობს შიში, რომ დროებითი ზომების პროცედურა ძირითად მოკვლევასაც გააჭიანურებს.

გარდა ამისა, ხანგრძლივი პროცედურები კიდევ უფრო ამცირებს დაზარალებული მხარეების სტიმულს, მიმართონ ამ მექანიზმის გამოყენებას საჯარო

---

https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/785547/unlocking_digital_competition_furman_review_web.pdf [10.06.2025] გვ. 104-105
გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ აღნიშნა, რომ მას აქვს განზრახვა *„შეცვალოს წესები, რომლებიც არეგულირებს დროებითი ზომების მიღებისას კონკურენციისა და ბაზრების უწყების (CMA) მიერ საქმის მასალებზე წვდომას, რათა პროცედურა გახდეს უფრო პროპორციული“* (იხ. 'Reforming competition and consumer policy: government response', 2022 წლის 20 აპრილი, ხელმისაწვდომია: www.gov.uk/government/consultations/reforming-competition-and-consumer-policy/outcome/reforming-competition-and-consumer-policy-government-response [10.06.2025)
თუმცაღა, საქმის მასალების შიდა კლასიფიკაცია — კონკრეტულად იმ დოკუმენტების გამიჯვნა, რომლებიც მხოლოდ დროებითი ზომების მიღებას ეხება — პრაქტიკაში შესაძლოა სერიოზულ სირთულეებთან იყოს დაკავშირებული, განსაკუთრებით მიმდინარე მოკვლევების კონტექსტში, სადაც ფაქტობრივი და იურიდიული საკითხები მჭიდროდ არის ერთმანეთთან გადაჯაჭვული, (იხ. Ruiz Feases, A. (2020), "Sharpening the European Commission's tools: interim measures", European Competition Journal, Vol. 16/2-3, pp. 404-430, https://doi.org/10.1080/17441056.2020.1805697, [10.06.2025], გვ.428)
[59] საფრანგეთის მაგალითი, იხ. Roberto Tremolada, 'Interim Measures in Digital Markets: An Enforcement Tool Rediscovered?' (2021) *European Competition Law Review* 42(11),Vol. 42/11, გვ. 605

სამართალწარმოების გზით – განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოებში დროებითი ზომების დაწესება მნიშვნელოვნად უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე კონკურენციის ორგანოებში.

რაც შეეხება ქართულ კანონმდებლობას, მოსამართლე ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერების თაობაზე სააგენტოს შუამდგომლობას განიხილავს ***ზეპირი მოსმენით,*** *რის შესახებაც ამ შუამდგომლობის წარდგენიდან არაუგვიანეს 3 დღისა ატყობინებს აღნიშნულ ეკონომიკურ აგენტს და მას საქმის მასალებს უგზავნის. ამასთან, მხარეთა გამოუცხადებლობა არ იწვევს სააგენტოს შუამდგომლობის განხილვის გადადებას.*[60]

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს, ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერების შესახებ ან შეჩერებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის ბრძანების ერთჯერადი გასაჩივრების უფლებას სააპელაციო სასამართლოში. ამასთან, ამ ბრძანების გასაჩივრება აჩერებს მის მოქმედებას.[61]

სააპელაციო სასამართლო ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერების შესახებ ან შეჩერებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე საჩივარს განიხილავს შეტანიდან 14 დღის განმავლობაში, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის კოდექსის 21[77] მუხლით დადგენილი წესით.

სააპელაციო სასამართლოს მიერ მოსამართლის ბრძანების გაუქმების შესახებ საჩივრის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.[62]

4. დროებითი ღონისძიებები ციფრულ ბაზრებზე

ბოლო პერიოდის ტენდენციით, ისეთ სწრაფად-განვითარებად (fast-moving) ბაზრებზე, როგორიცაა ციფრული ბაზრები, აღსრულების გაძლიერების პერსპექტივა შესაძლოა მეტ შესაძლებლობას აჩენდეს კონკურენციისა და ბაზრების მარეგულირებელი ორგანოებისათვის გამოიყენონ დროებითი ღონისძიებები.[63]

---

[60] საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21[77] მუხლის მე-2 ნაწილი

[61] იქვე, 21[78] მუხლის პირველი ნაწილი

[62] იქვე, მე-4 და მე-5 პუნქტები.

[63] Burnside, Alec J., Adam Kidane. "Interim Measures: An Overview of EU and National Case Law." *e-Competitions Special Issue Dominance*, June 7, 2018. Dechert LLP., გვ.10, ხელმისაწვდომია:

ბოლო წლების განმავლობაში იზრდება მოწოდებები ციფრულ ბაზრებზე დროებითი ღონისძიებების უფრო ხშირი და სწრაფი გამოყენების შესახებ[64] განსაკუთრებით იმ რთულ საქმეებში, სადაც ბაზრის „გადახრა“ შესაძლებელია მანამდე, სანამ საქმეზე არსებითი გადაწყვეტილება იქნება მიღებული. კონკურენციის პოლიტიკაზე დებატებმა, ასევე, წარმოშვა საკითხი იმის შესახებ, უნდა შეიცვალოს თუ არა სამართლებრივი, მტკიცებულებითი და საპროცესო სტანდარტები დროებითი ღონისძიებების გამოყენებისთვის, სულ მცირე, იმ სპეციფიკურ ბაზრებზე, რომლებიც მეტად არიან მიდრეკილი „გადახრისკენ”.

დროებითი ღონისძიებების უფრო ინტენსიური გამოყენების მხარდამჭერი ერთ-ერთი ფაქტორია ის, რომ ციფრული ბაზრის საქმეებში შეიძლება შედარებით მარტივი იყოს გადაუდებელი აუცილებლობის პირობის დაკმაყოფილება მძიმე და გამოუსწორებელი ზიანის თავიდან ასაცილებლად სამი ძირითადი მიზეზის გამო:

პირველ რიგში, ციფრულ ბაზრებზე მიმდინარე ანტიკონკურენტულმა ქცევამ შეიძლება გამოიწვიოს უფრო მაღალი მასშტაბის (ანუ მძიმე) ზიანი, გამომდინარე ამ ბაზრის თავისებურებებისგან, ვინაიდან იგი სწრაფ ტექნოლოგიურ (და კომერციულ) ცვლილებებს ექვემდებარება.[65] მეორე, პოტენციური ზიანის სიმძიმის ასიმეტრია (კონკურენციისთვის და მოკვლევის ობიექტად მყოფი მხარე(ებ)ისთვის) მოკვლევის განმავლობაში შეიძლება მეტად საგრძნობი იყოს. სხვა სიტყვებით, მცირე ცვლილებებს ბაზარზე შეიძლება ნაკლებად მძიმე გავლენა ჰქონდეს დიდ მოთამაშეებზე, მაშინ როცა იგივე ცვლილებებმა შეიძლება გამოუსწორებლად დააზარალოს მცირე კონკურენტები ან ახალი ბაზრის მონაწილეები (მაგალითად, გამოიწვიოს მათი ბაზრიდან გასვლა).[66] მესამე, "გადაუდებელი აუცილებლობის" (urgency) მტკიცება შეიძლება უფრო მარტივი იყოს იმ ფაქტორის გამო, რომ ზიანის გამოუსწორებლობა ციფრული ბაზრების დინამიკურ პირობებში და ქსელური ეფექტების არსებობის შემთხვევაში მეტად შესამჩნევია.[67]

ციფრულ ბაზრებზე დროებით ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკის ფარგლებში შესაძლებელია რამდენიმე რელევანტური საქმის მოხმობა, მაგალითად, 2021 წელს ***ბრაზილიის კონკურენციის დაცვის ადმინისტრაციულმა საბჭომ (CADE)*** მიიღო

---

https://awards.concurrences.com/IMG/pdf/article-86718-6.pdf?46663/35c0416c4c7d9f2cd923daca247fec50257ae7d44e6bc2b17506ebebde32062b [29.05.2025]

[64] OECD. (2022, June 21). Op. cit., გვ. 58, Digital Competition Expert Panel (2019), *Unlocking digital competition - Report of the Digital Competition Expert Panel*, 2019, გვ. 14, Lianos, I. and A. Ivanov (2019), op. cit., 2019, გვ. 40

[65] Tremolada, R. (2021), op. cit., გვ. 600

[66] Jean Caminade, Antoine Chapsal, and James Penglase, ‘Interim Measures in Antitrust Investigations: An Economic Discussion’ (2020) *Journal of Competition Law & Economics* 16(4), Vol. 17/2, 2020, გვ. 452

[67] Mantzari, D. (2020), op. cit., გვ. 495

ორი საჩივარი საკვების მიწოდების პლატფორმა iFood-ის წინააღმდეგ. საჩივრები ეხებოდა დომინანტური მდგომარეობის სავარაუდო ბოროტად გამოყენების პრაქტიკას, კერძოდ, ექსკლუზიური ხელშეკრულებების დადებას რესტორნებსა და ბარებთან, რაც კონკურენტების ბაზრიდან განდევნას იწვევდა. CADE-მ გამოიყენა დროებითი ღონისძიებები და iFood-ს აუკრძალა ახალი ექსკლუზიური პირობების შემცველი კონტრაქტების გაფორმება, ასევე, მოითხოვა მოქმედი კონტრაქტების ცვლილება იმგვარად, რომ აღარ ფიქსირდებოდეს ექსკლუზიურობის პირობა.

2019 წლიდან 2021 წლამდე პერიოდში ***საფრანგეთის კონკურენციის ორგანომ (Autorité de la Concurrence)*** Google-ის წინააღმდეგ სამ საქმეზე დროებითი ზომები გამოიყენა. ორი საქმე დაკავშირებული იყო საჩივრებთან, რომლებიც შეეხებოდა Google-ის სარეკლამო პლატფორმას AdWords-ს (ამჟამად Google Ads). ორმა კომპანიამ — Amadeus და Navx — რომლებიც თავიანთი სერვისების პოპულარიზაციისთვის AdWords-ზე იყვნენ დამოკიდებული, კონკურენციის ორგანოს საჩივრით მიმართეს მას შემდეგ, რაც Google-მა უეცრად და განსხვავებული მოპყრობით შეწყვიტა მათთან კომერციული ურთიერთობები. ორივე შემთხვევაში, უწყებამ Google-ს დაავალა განემარტა AdWords-ის წესები, ხოლო Amadeus-სა და Navx-თან პარტნიორული ურთიერთობებისათვის გადაეხედა განმარტებული წესების საფუძველზე.

მესამე საქმეში, პრესის გამომცემლებმა და ერთმა საინფორმაციო სააგენტომ კონკურენციის ორგანოს საჩივრით მიმართეს იმ საფუძვლით, რომ საავტორო უფლებების ახალი კანონმდებლობის განხორციელებისას Google-მ ბოროტად გამოიყენა თავისი დომინანტური მდგომარეობა. კერძოდ, ისინი ამტკიცებდნენ, რომ Google-მა ერთპიროვნულად გადაწყვიტა, არ ეჩვენებინა ახალი ამბების მოკლე ფრაგმენტები (snippets) საკუთარ სერვისებში, თუ გამომცემლები უფასოდ არ მისცემდნენ მას უფლებას მათი შინაარსის გამოყენებაზე. უწყებამ დააკმაყოფილა დროებითი ღონისძიებების გამოყენების მოთხოვნა და Google-ს დაავალა, კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად მოელაპარაკოს გამომცემლებს შინაარსის გამოყენებასა და ანაზღაურებაზე. მოგვიანებით, კონკურენციის უწყებამ Google დააჯარიმა იმ მიზეზით, რომ მან არ შეასრულა დაკისრებული დროებითი ზომები.

2020 წელს ***იაპონიის სამართლიანი ვაჭრობის კომისიამ*** (JFTC) ტოკიოს საოლქო სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით, რათა მიღებულიყო დროებითი შემაკავებელი ღონისძიებები კომპანიის – Rakuten-ის წინააღმდეგ. Rakuten, რომელიც ელექტრონული კომერციისა და ონლაინ ვაჭრობის კომპანიაა, გეგმავდა პროგრამის – „მიწოდების საფასურის ჩათვლის ღონისძიებების“ (Shipping Inclusive Program Measures) – განხორციელებას, რომლის მიხედვითაც პლატფორმაზე

რეგისტრირებულ ყველა გამყიდველს აეკრძალებოდა მომხმარებლებისგან მიწოდების გადასახადის გამოყოფა და ამგვარი გადასახადის დამოუკიდებლად დაკისრება. თუმცა, Rakuten-მა განაცხადა, რომ COVID-19-ის პანდემიის გათვალისწინებით, მან გამყიდველებს მისცა არჩევანი, მიეღოთ მონაწილეობა პროგრამაში თუ არა. შედეგად, JFTC-მა გამოიხმო დროებითი ღონისძიების მოთხოვნით წარდგენილი შუამდგომლობა.

2021 წელს ***თურქეთის კონკურენციის უწყებამ*** (Turkish Competition Authority) ex officio საფუძველზე დაიწყო სავარაუდო დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შესახებ მოკვლევა Facebook/WhatsApp-ის წინააღმდეგ. წარმოება დაიწყო მას შემდეგ, რაც WhatsApp-მა შეცვალა მომსახურების პირობები და კონფიდენციალურობის პოლიტიკა, რომლითაც მომხმარებლებს ავალდებულებდა, თავიანთი მონაცემები სხვა Facebook-ის კომპანიებთან გაეზიარებინათ. უწყებამ მიიღო დროებითი ღონისძიება, რომლითაც შეაჩერა კონფიდენციალურობის განახლებული პირობების ამოქმედება და WhatsApp-ს დაავალა, აღნიშნული შეჩერების შესახებ ინფორმაცია ყველა მომხმარებლისთვის მიეწოდებინა.

ამის პარალელურად, პრაქტიკაში არსებობს ცრუ პოზიტიური გადაწყვეტილებების მიღების რისკები (და მასთან დაკავშირებული ხარჯები) – ანუ შემთხვევები, როდესაც დროებითი ღონისძიება შეიძლება შეუსაბამოდ იქნეს გამოყენებული – რაც განსაკუთრებით პრობლემატურია ისეთ ბაზრებზე, სადაც გამარჯვებულს ყველაფერი ან თითქმის ყველაფერი რჩება (winner-takes-all/most markets). ასეთ შემთხვევაში, დროებითი ზომების გაუმართლებლად დაწესებამ ბაზრის დიდ მოთამაშეზე შეიძლება გამოიწვიოს მომხმარებლებისთვის საერთო ზიანის გაზრდა.[68] მიუხედავად ამისა, ის ფაქტი, რომ დროებითი ღონისძიებები უნდა იყოს მოქნილი და ეფექტური, ამ რისკს გარკვეულწილად ამცირებს. დაინტერესებული მხარეების მიერ მიწოდებული დამატებითი ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას დროებითი ღონისძიებების გადასახედად ან შესაცვლელად, რაც ასევე ამცირებს ინფორმაციულ ხარვეზებს ციფრულ ბაზრებზე.[69] [70]

---

[68] Mantzari, op. cit., 2020, გვ. 495, ხელმისაწვდომია: https://doi.org/10.1093/jeclap/lpaa045 [30.05.2025]

[69] André Cordeiro, et al., Brazil: Interim Measures as an Enforcement Policy in Digital Markets, in BRICS Digital Competition Report, BRICS Competition Law and Policy Centre, 2021, გვ. 200, https://globalcompetitionreview.com/guide/digital-markets-guide/first-edition/article/brazil-interim-measures-enforcement-policy-in-digital-markets [30.05.2025]

[70] OECD. (2022, June 21). *Op.cit., გვ.18-19*